განკარგულება:**გ-81. 8126238001**
თარიღი:**26/08/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N32

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მოწონებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტი:

ქ. ცაგერის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნების და გასახდელების შენობის მშენებლობა.

მუხლი 2. ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარუდგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს.

მუხლი 3. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების შესაბამისად მოახდინოს საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა N69).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com